



შპს „კაპაროლ ჯორჯია“

საღებავების საწარმოს ექსპლოატაციის პრობემების
ცვლილება (ასპირაციულ სისტემებში დამატებით
ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება)

სკრინინგის ანგარიში

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ -ს
დირექტორი
ბ. გამრეკელი

შესავალი

შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს საწარმოში ხორციელდება წყალდისპერსული საღებავებისა და მშრალი ნარევების მიღება. საწარმო ფუნქციონირებს 2008 წლიდან. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 დეკემბრის N2-997 ბრძანებით შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს ექსპლოატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (დანართი 1), საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილება მინისტრის 2019 წლის 07 ნოემბრის N2-1064 ბრძანებით (დანართი 2) და საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილებაზე (მშრალი ნარევის საამქროს ასპირაციულ სისტემებში ციკლონების გამოყენება) სკრინინგის გადაწყვეტილება მინისტრის 2020 წლის 07 ოქტომბრის N2-903 ბრძანებით (დანართი 3).

საწარმოს მენეჯმენტი მუდმივად ცდილობს განახორციელოს ღონისძიებები, რაც შეამცირებს გარემოზე მოსულ დატვირთვას. ამჟამად გათვალისწინებულია საწარმოს ასპირაციულ სისტემებში სველი გამწმენდი საღებავების ჩანაცვლება ქსოვილოვანი ფილტრებით, რაც შეამცირებს ატმოსფეროში გაფრქვევის ინტენსიობას. აღნიშნული წარმოადგენს საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილებას. ამის გამო საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მეხუთე მუხლის მე-12 პუნქტის და მეშვიდე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით შემუშავებული იქნა სკრინინგის განცხადება.

სარჩავი

შესავალი	2
1. ინფორმაცია არსებული საწარმოს შესახებ	4
1.1. ზოგადი ცნობები	4
1.2. საწარმოს ადგილმდებარეობა	5
1.3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი და ტექნოლოგიური პროცესები	7
2. საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილება (ასპირაციულ სისტემებში დამატებით ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება)	9
3. საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება....	9
დ ა ნ ა რ თ ე ბ ი.....	10
დანართი 1.....	11
დანართი 2.....	14
დანართი 3.....	20
დანართი 4.....	21
დანართი 5.....	22
დანართი 6.....	24
დანართი 7.....	25
დანართი 8.....	26
დანართი 9.	30

1. ინფორმაცია არსებული საწარმოს შესახებ

1.1. ზოგადი ცნობები

შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს საწარმო მდებარეობს ქ.თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქ.№8-ში. არსებული საწარმოს შესახებ ზოგადი ინფორმაცია მოცემულია N1 ცხრილში

ცხრილი 1.

ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „კაპაროლ ჯორჯია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი, ალექსანდრე ქართველიშვილის ქ.№8
საწარმოს მისამართი	ქ.თბილისი, ალექსანდრე ქართველიშვილის ქ.№8
საქმიანობის სახე	წყალდისპერსიული საღებავების და მშრალი ნარევების წარმოება
დირექტორი	ბორის გამრეკელი - დავით შენგელია
საკონტაქტო ტელეფონი	599550301 - 577403712
გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	ვახტანგ როინიშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	+995 595 99 70 00
საკონსულტაციო კომპანია	შპს „აი-ეს-ჯი კომპანი“
საკონტაქტო ტელეფონი	+995 595 119795

იგი აწარმოებს წყალდისპერსიულ საღებავებსა და მშრალ ნარევებს. უშუალოდ საწარმოში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი.საწარმო წელიწადში ვარაუდობს 10000ტ წყალ-დისპერსიული საღებავებისა და 10000ტ მშრალი ნარევის გამოშვებას.

ტექნოლოგიურ პროცესში ძირითადად გამოყენებულია თანამედროვე ტიპის გერმანული მანქანა-დანადგარები,რაც განაპირობებს შრომის ნორმალური პირობების შექმნასა და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვას.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 10 დეკემბრის N2-997 ბრძანებით შპს „კაპაროლ ჯორჯიას“საღებავების საწარმოს ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ტექნოლოგიური პროცესებისა და მანქანადანადგარების საიმედოობის გაზრდის და გარემოზე ზემოქმედების შემცირების მიზნით გადაწყდა საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება,რაზეც შემუშავდა და 2019 წლის 09 სექტემბერს სამინისტროში წარდგენილი იქნა სკრინინგის განცხადება. მინისტრის 2019 წლის 07 ნოემბრის N2-1064 ბრძანებით გაცემულ იქნა სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შპს „კაპაროლ ჯორჯიას“

საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყო განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ და განახლებული „ნარჩენების მართვის გეგმის“ შემუშავება და შეთანხმება სამინისტროსთან. ორივე პირობა შესრულდა. ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმდა 2020 წლის 24 თებერვალს (N2033/01 წერილი), ხოლო „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ - 2020წლის 04 აპრილს (დანართი 4 და დანართი 5).

აღნიშნულის შემდეგ შემუშავებული და სამინისტროში წარდგენილი იქნა საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (მშრალი ნარევის საამქროს ასპირაციულ სისტემებში ციკლონების გამოყენება) სკრინინგის ანგარიში, რომელზეც მიღებული იქნა გადაწყვეტილება მინისტრის 2020 წლის 07 ოქტომბრის N2-903 ბრძანებით (დანართი 3).


შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს დაევალა ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე უზრუნველყო განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ და განახლებული „ნარჩენების მართვის გეგმის“ შემუშავება და შეთანხმება სამინისტროსთან. ორივე პირობა შესრულდა. ნარჩენების მართვის გეგმა შეთანხმდა 2021 წლის 12 იანვარს (N226/01 წერილი), ხოლო „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი“ - 2020წლის 11 ნოემბერს (დანართი 6 და დანართი 7).

1.2. საწარმოს ადგილმდებარეობა

ტერიტორია, სადაც განთავსებულია შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს საწარმო, მდებარეობს ქ.თბილისში, ალექსანდრე ქართველიშვილის ქ.№8 (ნახაზი1). ტერიტორია რომლის საკადასტრო კოდია 81.08.19.265 ეკუთვნის შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს (ნახაზი №2), მისი ფართობი შეადგენს 9 450მ². საწარმოს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორიები, ხოლო დასავლეთის მხრიდან საწარმოები. საწარმო უახლოესი საცხოვრებელი ბინიდან დაშორებულია 800მ-ით.

ტერიტორიის კუთხეთა წვეროების GPS კოორდინატებია:

1. X=495503 ; Y=4616022 ;
2. X=495637; Y=4616029 ;
3. X=495647 ; Y=4616090 ;
4. X=495494; Y=4616083;
5. X=495475; Y=4616050;



ნახაზი1.



ნახაზი2.


საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული კორპუსი, წყალ-დისპერსიული საღებავების საწარმო საწყოებით, სასაწყობო ბაქანი და მშრალი ნარევის საამქრო. ეს უკანასკნელი ანგარის ტიპისაა. მის ჩრდილო ნაწილში განთავსებულია ოთხი სილოსი. შენობა-ნაგებობებს უჭირავთ 2600 მ².

3000 მ² ტერიტორია ღია გრუნტითაა, დანარჩენი ფართი კი მობეტონებულია. საწარმოსთვის საჭირო წყალმომარაგება ხდება საქალაქო ქსელიდან. საწარმოს საკანალიზაციო ქსელი მიერთებულია საქკამაზავტოცენტრის სისტემასთან.

1.3. საწარმოს მუშაობის რეჟიმი და ტექნოლოგიური პროცესები


საწარმოში საქმიანობა ხორციელდება 8 საათიანი სამუშაო ცვლით, წელიწადში 250 დღე. საწარმო წელიწადში ვარაუდობს 10 000 ტ წყალ-დისპერსიული საღებავებისა და 10 000 ტ მშრალი ნარევის გამოშვებას.

საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილებების (მინისტრის 2019 წლის 07 ნოემბრის N2-1064 ბრძანება და მინისტრის 2020 წლის 07 ოქტომბრის N2-903 ბრძანება) საფუძველზე საწარმოს ტექნოლოგიური სქემები და გამოყენებული მანქანა-დანადგარების ჩამონათვალით მოცემულია N 3 ნახაზზე, ხოლო მშრალი ნარევის საამქროს ტექნოლოგიური სქემა და გამოყენებული მანქანა-დანადგარების ჩამონათვალი N4 ნახაზზე.



ნახაზი 3. წყალდისპერსული საღებავების საამქროს ტექნოლოგიური სქემა სკრინინგის გადაწყვეტილებების მიხედვით.

1,2,38,39-შემკვრელი ნედლეულის ავზები;3,3ა-თხევადი კომპონენტების მიწოდება;4-მშრალი კომპონენტების მიწოდება;5,6,7,8,41-ნედლეულის შემრევი დიზოლვერები; 9,10,11,12,13,14,15,16,36,40-გადამქაჩი ტუმბოები;17,18,19,37-ფილტრები;20,21,22,23,24-მზა პროდუქციის შუალედური ავზები;25-კოაგულაციის ავზი; 26,27-მანუალური დასაფასოებელი ხაზები;28,29,46-დასაფასოებელი ხაზები; 30,31,42-გორგოლებიანი კონვეიერი;32-შესაფუთი დანადგარი;33-ჩანარეცი წყლის შემკრები;34-ნარჩენების ფილტრ-წნები;34ა-საფილტრი კასკადი;35,35ა-მტვერდამჭერი ციკლონი;43-ფერის შემრევი დიზოლვერი;44-კომპრესორი;45/1და45/2-გამათბობელი.47.სველი სალექარი.



ნახაზი 4. მშრალი ნარეგების საამქროს ტექნოლოგიური სქემა სკრინინგის გადაწყვეტილებების მიხედვით.

1;2;3;4 ნედლეულის ავზი; 5. ნედლეული ტომრებით; 6. ნედლეული Big-Beg ტომრებით; 7. ნედლეულის მანუალური ბუნკერი; 8. Big-Beg სადგური; 9-14. მწკრივი მკვებავი; 15. ნედლეულის ავტომატური დოზატორი; 16. ლენტური მკვებავი; 17. შუალედური ბუნკერი; 18. დანამატების მანუალური ბუნკერი; 19. ნედლეულის შემრევი დანადგარი; 20. მზა პროდუქციის შუალედური ბუნკერი; 21/1; 21/2 მზა პროდუქციის დასაფასოებელი დანადგარი; 22. მზა პროდუქციის ლენტური ტრანსპორტიორი; 23. მზა პროდუქციის შესაფუთი აპარატი; 24. კომპიუტერული მართვის პულტი; 25. ფილტრი; 26; 26/1; 27; 28; 30. გამწოვი სავენტილაციო სისტემა; 29a; 29b კომპრესორი; 31. ნედლეულის მანუალური ასაწონი სადგური. 32; 33. ციკლონები.

2. საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილება (ასპირაციულ სისტემებში დამატებით ქსოვილოვანი ფილტრების გამოყენება)

ამჟამად წყალდისპერსული საღებავების საამქროს ასპირაციული სისტემა აღჭურვილია ორი ციკლონითა და მტვრის სველი დამლექი ორი კამერით (ნახაზი3; პოზიცია 35; 35ა; 47 და სურათი1).

მშრალი ნარევების საამქროს ასპირაციული სისტემა მოიცავს ორ ციკლონს (ნახაზი4, პოზიცია 32;33 და სურათი 2).

მიუხედავად იმისა, რომ არსებული გამწმენდი სისტემები უზრუნველყოფენ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტით განსაზღვრულ მნიშვნელობებს (დანართი8 და დანართი9). საწარმოს მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ატმოსფერულ ჰაერზე მოსული დატვირთვის კიდევ უფრო შემცირება.

ამ მიზნით იგეგმება საწარმოში არსებულ ასპირაციულ სისტემებში ცვლილებების განხორციელება და გამწმენდი სისტემების სქემა მიიღებს ნახაზ 5 და ნახაზ 6 მოცემულ სახეს.

წყალდისპერსიული საღებავების საამქროში არსებულ ორ ციკლონს დაემატება ორი ახალი ციკლონი(ნახაზი 7 და სურათი 3).ციკლონების თავზე განთავსდება შემკრები კამერა (სურათი 4).ამ უკანასკნელზე დაიდგმება ქსოვილოვანი ფილტრი(სურათი 5 და სურათი 6).

მშრალი ნარევების საამქროში შემკრები კამერა დაიდგმება უშუალოდ არსებულ ციკლონებზე. ამ უკანასკნელზე კი დაიდგმება ქსოვილოვანი ფილტრი.

ქსოვილოვანი ფილტრი წარმოადგენს 800მმ დიამეტრისა და 1000მმ სიმაღლის ლითონის კორპუსს, რომელშიც განთავსებულია 210მმ დიამეტრისა და 800მმ სიმაღლის ოთხი ცალი ქსოვილის სახელო. ფილტრი აღჭურვილია დამბერტყი მოწყობილობით.

პირობების ცვლილება არ მოიცავს გამოშვებული პროდუქციის სახეობის ცვლილებასა და რაოდენობის გაზრდას, ტექნოლოგიური დანადგარების ცვლილებას. არ იგეგმება ახალი შენობა-ნაგებობების მოწყობა და ტერიტორიის ფართობის გაზრდა.


პირობების ცვლილების (ქსოვილოვანი ფილტრების დამატება) შემდეგ წყალდისპერსიული საღებავების საწარმოს ახალი ტექნოლოგიური სქემა მოცემულია N8 ნახაზზე, ხოლო მშრალი ნარევების საწარმოს ახალი ტექნოლოგიური სქემა-N9 ნახაზზე.



სურათი 1. წყალდისპერსული საღებავების საამქროს ასპირაციული სისტემის ციკლონები და სველი საღებავრები




სურათი2. მშრალი ნარევების საამქროს ასპირაციული სისტემის არსებული ციკლონები




ნახაზი 5.წყალდისპერსულ საამქროში განსახორციელებელი სქემა

1-არსებული ციკლონი;2-არსებული ციკლონი. 3-დამატებითი ციკლონი;4-დამატებითი ციკლონი; 5-შემკრები; 6-ქსოვილოვანი ფილტრი.



ნახაზი 6. მშრალი ნარევის საამქროს ასპირაციული სისტემის სქემა;

1-2 არსებული ციკლონები; 3-შემკრები;4-ქსოვილოვანი ფილტრი.



ნახაზი 7

დასამონტაჟებელი ციკლონი

სურათი 3




სურათი 4. შემკრების ხედები




სურათი 5.ფილტრის კორპუსი



სურათი 6.ქსოვილოვანი ფილტრის სახელოები



ნახაზი 8. წყალდისპერსიული საღებავების საწარმოს ახალი ტექნოლოგიური სქემა: 1; 2 ; 38; 39 - შემკვერელი ნედლეულის ავზი 3; 3a - თხევადი კომპონენტები 4 - მშრალი კომპონენტები 5; 6; 7; 8; 41 - ნედლეულის შემრევი დიზოლვერი 9; 10; 11; 12; 13; 14; 15; 16; 36; 40 - გადამქაჩავი ტუმბო 17; 18; 19; 37- ფილტრი 20; 21; 22; 23; 24 - მზა პროდუქციის შუალედური ავზი 26; 27 - მანუალური დასაფასოებელი ხაზი 28 - დასაფასოებელი ხაზი IT6000 29; 46 - დასაფასოებელი ხაზი IT8000 30; 31; 42 - გორგოლებიანი კონვეერი 32 - შესაფუთი დანადგარი 25 - კუაგულაციის ავზი 33 - ჩანარეცხი წყლის შემკრები 34 - ნარჩენების ფილტრ-პრესი 34a - საფილტრავი კასკადი 35; 35a - ორმაგი სავენტილაციო ციკლონი 43 - ფერის შემრევი დიზოლვე; 44 - კომპრესორი 45/1 - გაზზე მომუშავე გამათბობელი წარმოება 45/2 - გაზზე მომუშავე გამათბობელი საწყობი; 47 - შემკრები კამერა; 48 - ჰაერის ფილტრი; 49/49a - სავენტილაციო ძრავი



ნახაზი9. მშრალი ნარევების საწარმოს ახალი ტექნოლოგიური სქემს: 1; 2; 3; 4 - ნედლეულის ავზი 5 - ნედლეული ტომრებით 6 - ნედლეული Big-Bag ტომრებით 7 - ნედლეულის მანუალური ბუნკერი 8 - Big-Bag სადგური 9; 10; 11; 12; 13; 14 - შნეკური მკვებავი 15 - ნედლეულის ავტომატური დოზატორი 16 - ლენტური მკვებავი 17 - შუალედური ბუნკერი 18 - დანამატების მანუალური ბუნკერი 19 - ნედლეულის შემრევი დანადგარი 20 - მზა პროდუქციის შუალედური ბუნკერი 21/1; 21/2 - მზა პროდუქციის დასაფასოვებელი დანადგარი 22 - მზა პროდუქციის ლენტური კონვეერი 23 - მზა პროდუქციის შესაფუთი აპარატი 24 - პროცესების მართვის კომპიუტერული სისტემა 25 - ფილტრი 26; 26/1; 27; 28; 30 - გამწოვი სავენტილაციო სისტემა 29a; 29b - კომპრესორი 31 - ნედლეულის მანუალური ასაწონი სადგური 32 - შემკრები კამერა 33 - ჰაერის ფილტრი

3. საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილებისას გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საწარმო ფუნქციონირებს 2008 წლიდან და იგი პასუხობს გარემოსდაცვით მოთხოვნებს. არ ახდენს ზეგავლენას კულტურულ და ისტორიულ გარემოზე, რადგან ზემოქმედების ზონაში ასეთი ობიექტები არ მდებარეობს; ტექნოლოგიური რეგლამენტიდან გამომდინარე, ატმოსფერულ ჰაერში ემისიები უმნიშვნელოა და არ იწვევს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუარესებას. საწარმო არ წარმოადგენს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დამაბინძურებელ ობიექტს. საწარმოს ექსპლოატაციის პროცესში არ გამოვლენილა რომელიმე მნიშვნელოვანი ფლორის ან ფაუნის სახეობა, რომელსაც ჭირდება განსაკუთრებული დამცავი ღონისძიებების გატარება.

საწარმოს ექსპლოატაციის პირობების ცვლილებისას, რაც გულისხმობს ორი ერთეული ციკლონის, ორი ერთეული შემკრებისა და ქსოვილოვანი ფილტრების მონტაჟსა და ექსპლოატაციას, არ არის მოსალოდნელი გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ზრდა შემდეგ გარემოებათა გამო:

- ✓ გამწმენდი დანადგარები საწარმოში შემოიზიდება მზა სახით, ამდენად გამორიცხულია დამზადების პროცესში გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება;
- ✓ პირობებების ცვლილებებისათვის საჭირო ჰაერის გამწმენდი დანადგარების მონტაჟი არის ხანმოკლე პროცესი (არაუმეტეს ორი დღისა), რა დროსაც არ იფუნქციონირებს საწარმო;
- ✓ საწარმოში არ შეიცვლება მტვრის გამოყოფის ბალანსი. იცვლება გამწმენდი დანადგარის ტიპი. ქსოვილოვანი ფილტრის გამოყენება უზრუნველყოფს გაწმენდის ეფექტურობის გაზრდას 99%-მდე, ნაცვლად არსებული 95%-სა;
- ✓ ციკლონების, შემკრებების და ქსოვილოვანი ფილტრის მონტაჟი და ექსპლოატაცია არ გამოიწვევს ლანდშაფტის დამატებით ცვლილებას, არ მოახდებს გავლენას ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებზე, არ ზრდის საწარმოო ნარჩენების წარმოქმნას;
- ✓ ციკლონების, შემკრებების და ქსოვილოვანი ფილტრის მონტაჟის პროცესი ვერ მოახდენს ზეგავლენას ფლორასა და ფაუნაზე.



დანართები

დანართი 1.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრკანევა N 2-997

10/12/2018

ქ. თბილისი

შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ ქალაქ თბილისში საღებავების საწარმოს ექსპლოატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილია, ქ. თბილისში შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. წარმოდგენილი განცხადებითა და თანდართული დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი:

შპს „კაპაროლ ჯორჯია“-ს საწარმო მდებარეობს ქ.თბილისში ალექსანდრე ქართველიშვილის ქ.№8, შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 81.08.19.265), ტერიტორიის ფართობი შეადგენს 9450 მ². საწარმოს ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორიები, ხოლო დასავლეთის მხრიდან საწარმოები. საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 800 მ-ით.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 26 თებერვალს მიღებულ იქნა N5 გადაწყვეტილება შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს მიმდინარე საქმიანობის გაგრძელების შესახებ.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფუნქციონირებს 2008 წლიდან. იგი აწარმოებს წყალდისპერსიულ საღებავებსა და მშრალ ნარევეს. უშუალოდ საწარმოში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი. საწარმო წელიწადში 10000ტ წყალდისპერსიულ საღებავებსა და 10000ტ მშრალ ნარევეს უშვებს. საწარმოში საქმიანობა ხორციელდება 8 საათიანი სამუშაო ცვლით, წელიწადში 250 დღე.

ტექნოლოგიურ პროცესში ძირითადად გამოყენებულია თანამედროვე ტიპის გერმანული მანქანა-დანადგარები, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული კორპუსი, წყალდისპერსიული საღებავების საწარმო საწყობით, სასაწყობო ბაქანი და მშრალი ნარევის საამქრო. ეს უკანასკნელი ანგარის ტიპისაა მის ჩრდილო ნაწილში განთავსებულია ოთხი სილოსი.

წყალდისპერსიული საღებავების საამქროში ნედლეულად გამოყენებულია შემკვრელი, შემავსებელი (CaCO₃) და სასმელი წყალი. დისპერსიული საღებავების შემკვრელის მიღება ხდება 20ტ ავზებში და 1ტ-იან კონტეინერში. შემავსებლის მიწოდება ხდება 25კგ-იან და 50კგ-იანი ტომრებით. წარმოების ციკლის დაწყება ხდება განსაზღვრული რეცეპტურით ნედლეულის აწონვით და მიწოდებით შემრევ ავზში ე.წ. დისოლვერში და ავზებიდან დისოლვერში მიწოდება ხდება გადამქაჩი ტუმბოს მეშვეობით. კონტეინერებიდან შემავსებლის მიწოდება ხდება მანუალურად. შემრევ დისოლვერში ხდება ნედლეულის

შერევა და ნედლეულის პროდუქტად ჩამოყალიბება. დამზადებული პროდუქცია გადამქაჩავი ტუმბოს საშუალებით სპეციალური საღებავის ფილტრის გავლით გადაიქაჩება მზა პროდუქციის შუალედურ ავზებში, საიდანაც ასევე გადამქაჩავი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება დასაფასოებელ ხაზს და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ხდება მიღებული მასის დაფასოება განსაზღვრულ ტარაში, დაფასოებული პროდუქცია კონვერით მიეწოდება და საწყობდება დასადებზე. მზა პროდუქცია გადადის შესაფუთ დანადგარზე, სადაც იფუთება და საწყობდება.

წყალ ემულსიური საღებავების საწარმოში შემრევში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობისას წარმოქმნილი მტერის გაწოვა და დაჭერა ხდება მშრალი ჰაერგამწმენდი სისტემით, რომელიც შედგება ციკლონისაგან და დამლექი კამერისაგან.

ქსოვილოვანი ფილტრებით აღჭურვილია სილოსები. ფილტრები განთავსებულია სილოსის თავზე; 3 ცალი ფილტრის ტომრის მუშაობის კონტროლი ავტომატურად ხდება პროგრამულ-ლოგიკური ცენტრიდან.

წყალი საწარმოში გამოიყენება: სასმელ-სამეურნეო, ტექნოლოგიური პროცესის, რეზერვუარების რეცხვისა და სახანძრო მიზნებისათვის.

საწარმოში წყლის მომარაგება ხდება წყალმომარაგების საქალაქო ქსელიდან. ტექნოლოგიური მიზნებისათვის წელიწადში მოიხმარება 1000 მ³ წყალი.

სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხდება საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება წყალემულსიური საღებავების საწარმოში რეზერვუარებისა და იატაკის მორეცხვის შედეგად. აღნიშნული ჩამდინარე წყლები გადაიტუმბება საფილტრ კასკადში, რომელიც შედგება ოთხი სექციისაგან, სადაც განთავსებულია ქსოვილის საფილტრი მასალა, ოთხი საფეხურის გავლის შემდეგ წყალი პრაქტიკულად სუფთაა და მიემართება ხელახალი გამოყენებისათვის.

სანიაღვრე წყლების გასაწმენდად მოწყობილია მექანიკური გამწმენდი ნაგებობა, რომელიც შედგება ნავთობდამჭერისა და მექანიკური სალექარსაგან. გამწმენდის ზომებია: სიგრძე-4 მ; სიგანე - 2 მ; სიღრმე -2,5 მ. სალექარს ექნება ერთმანეთთან დაკავშირებული ორი განყოფილება, მოცულობა იქნება 20მ³. პირველ განყოფილებაში მოხდება ნავთობპროდუქტების გამოყოფა, შეწონილი ნაწილაკები დაილექება სალექარის მთელ სიგრძეზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა დამატებითი წერილი, რის მიხედვითაც სალექარში გაწმენდილი წყლის გატანა განხორციელდება სპეცტექნიკის გამოყენებით შპს „ეკო სერვის ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით.

გზმ-ს ანგარიშს თან ახლავს ხმაურთან დაკავშირებული გათვლები, რომლის მიხედვით ჩანს, რომ საქმიანობის განხორციელების პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის მოსალოდნელი დონე დაშვებულ ნორმებზე გაცილებით დაბალია, შესაბამისად ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საწარმოს განთავსების ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, რის გამოც ადგილობრივ ფლორაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

შერევა და ნედლეულის პროდუქტად ჩამოყალიბება. დამზადებული პროდუქცია გადაიქაჩავი ტუმბოს საშუალებით სპეციალური საღებავის ფილტრის გავლით გადაიქაჩება მზა პროდუქციის შუალედურ ავზებში, საიდანაც ასევე გადაიქაჩავი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება დასაფასოებელ ხაზს და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ხდება მიღებული მასის დაფასოება განსაზღვრულ ტარაში, დაფასოებული პროდუქცია კონვეირით მიეწოდება და საწყობდება დასადებზე. მზა პროდუქცია გადადის შესაფუთ დანადგარზე, სადაც იფუთება და საწყობდება.

წყალ ემულსიური საღებავების საწარმოში შემრევში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობისას წარმოქმნილი მტვრის გაწოვა და დაჭერა ხდება მშრალი ჰაერგამწმენდი სისტემით, რომელიც შედგება ციკლონისაგან და დამლექი კამერისაგან.

ქსოვილოვანი ფილტრებით აღჭურვილია სილოსები. ფილტრები განთავსებულია სილოსის თავზე; 3 ცალი ფილტრის ტომრის მუშაობის კონტროლი ავტომატურად ხდება პროგრამულ-ლოგიკური ცენტრიდან.

წყალი საწარმოში გამოიყენება: სასმელ-სამეურნეო, ტექნოლოგიური პროცესის, რეზერვუარების რეცხვისა და სახანძრო მიზნებისათვის.

საწარმოში წყლის მომარაგება ხდება წყალმომარაგების საქალაქო ქსელიდან. ტექნოლოგიური მიზნებისათვის წელიწადში მოიხმარება 1000 მ³ წყალი.

სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება ხდება საკანალიზაციო ქსელში.

საწარმოო ჩამდინარე წყლები წარმოიქმნება წყალემულსიური საღებავების საწარმოში რეზერვუარებისა და იატაკის მორეცხვის შედეგად. აღნიშნული ჩამდინარე წყლები გადაიტუმბება საფილტრ კასკადში, რომელიც შედგება ოთხი სექციისაგან, სადაც განთავსებულია ქსოვილის საფილტრი მასალა, ოთხი საფეხურის გავლის შემდეგ წყალი პრაქტიკულად სუფთაა და მიემართება ხელახალი გამოყენებისათვის.

სანიადვრე წყლების გასაწმენდად მოწყობილია მექანიკური გამწმენდი ნაგებობა, რომელიც შედგება ნავთობდამჭერისა და მექანიკური სალექარისაგან. გამწმენდის ზომებია: სიგრძე-4 მ; სიგანე - 2 მ; სიღრმე -2,5 მ. სალექარს ექნება ერთმანეთთან დაკავშირებული ორი განყოფილება, მოცულობა იქნება 20მ³. პირველ განყოფილებაში მოხდება ნავთობპროდუქტების გამოყოფა, შეწონილი ნაწილაკები დაილექება სალექარის მთელ სიგრძეზე. აღნიშნულთან დაკავშირებით სამინისტროში წარმოდგენილ იქნა დამატებითი წერილი, რის მიხედვითაც სალექარში გაწმენდილი წყლის გატანა განხორციელდება სპეცტექნიკის გამოყენებით შპს „ეკო სერვის ჯორჯიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულებით.

გზმ-ს ანგარიშს თან ახლავს ხმაურთან დაკავშირებული გავლენები, რომლის მიხედვით ჩანს, რომ საქმიანობის განხორციელების პროცესში უახლოეს საცხოვრებელ სახლთან ხმაურის მოსალოდნელი დონე დაშვებულ ნორმებზე გაცილებით დაბალია, შესაბამისად ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საწარმოს განთავსების ტერიტორია მცენარეული საფარით ღარიბია, რის გამოც ადგილობრივ ფლორაზე მნიშვნელოვანი უარყოფითი ანთროპოგენული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

დანართი 2.



საქართველოს გაეროს ლაცხისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1064

07/11/2019

ქ. თბილისი

ქ. თბილისში შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საწარმო მდებარეობს ქ. თბილისში ალექსანდრე ქართველიშვილის ქ. №8-ში, შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 81.08.19.265), ტერიტორიის ფართობი შეადგენს 9450 მ²-ს. საწარმოს აღმოსავლეთის და ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორიები, ხოლო დასავლეთის მხრიდან საწარმოები. საწარმოდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 800 მ-ით.

შპს „კაპაროლ ჯორჯიას“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 2018 წლის 10 დეკემბერს მიღებულ აქვს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება N2-997 საღებავების საწარმოს ექსპლუატაციის შესახებ.

შპს „კაპაროლ ჯორჯია“ ფუნქციონირებს 2008 წლიდან. იგი აწარმოებს წყალდისპერსიულ საღებავებსა და მშრალ ნარევეს. უშუალოდ საწარმოში დასაქმებულია 50-მდე ადამიანი. საწარმო წელიწადში 10000ტ წყალდისპერსიულ საღებავებსა და 10000ტ მშრალ ნარევეს უშვებს. საწარმოში საქმიანობა ხორციელდება 8 საათიანი სამუშაო გრაფიკით, წელიწადში 250 დღე.

ტექნოლოგიურ პროცესში ძირითადად გამოყენებულია თანამედროვე ტიპის გერმანული მანქანა-დანადგარები, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია ადმინისტრაციული კორპუსი, წყალდისპერსიული საღებავების საწარმო საწყობით, სასაწყობო ბაქანი და მშრალი ნარევის საამქრო. ეს უკანასკნელი ანგარის ტიპისაა მის ჩრდილოეთ ნაწილში განთავსებულია ოთხი სილოსი.

წყალდისპერსიული საღებავების საამქროში ნედლეულად გამოყენებულია შემკვრელი, შემავსებელი (CaCO₃) და სასმელი წყალი. დისპერსიული საღებავების შემკვრელის მიღება ხდება ორ 20 ტონიან ავზში და 1ტ-იან კონტეინერში. შემავსებლის მიწოდება ხდება 25კგ-იან და 50კგ-იანი ტომრებით. წარმოების ციკლის დაწყება ხდება ნედლეულის აწონვით და შემრევ ავზში ე.წ. დისოლვერში მიწოდებით. შემკვრელი ნედლეულის ავზებიდან დისოლვერში მიწოდება ხდება გადაამქაჩი ტუმბოს მეშვეობით. კონტეინერებიდან შემავსებლის მიწოდება ხდება მანუალურად. შემრევ დისოლვერში ხდება ნედლეულის

შერევა და ნედლეულის პროდუქტად ჩამოყალიბება. დამზადებული პროდუქცია გადამქაჩავი ტუმბოს საშუალებით სპეციალური საღებავის ფილტრის გავლით გადაიქაჩება მზა პროდუქციის შუალედურ ავზებში, საიდანაც ასევე გადამქაჩი ტუმბოს საშუალებით მიეწოდება დასაფასოებელ ხაზს და სპეციალური კომპიუტერული პროგრამის საშუალებით ხდება მიღებული მასის დაფასოება განსაზღვრულ ტარაში. დაფასოებული პროდუქცია კონვეირით მიეწოდება და საწყობდება. შემდეგ მზა პროდუქცია გადადის შესაფუთ დანადგარზე, სადაც იფუთება.

წყალდისპერსიული საღებავების საწარმოში შემრევი მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესის მსვლელობისას წარმოქმნილი მტვრის გაწოვა და დაჭერა ხდება მშრალი ჰაერგამწმენდი სისტემით, რომელიც შედგება ციკლონისაგან და დამლექი კამერისაგან.

სკრინინგის განცხადების თანახმად, წარმოების საიმედოობის გაზრდის და ტექნოლოგიური პროცესის უწყვეტობის უზრუნველყოფის მიზნით დაიგეგმა ექსპლუატაციის პირობების ცვლილება. პირობების ცვლილებისთვის საჭირო დანადგარების, ჰაერისა და წყლის გამწმენდის სისტემების მონტაჟი და რემონტი მოხდება დახურულ შენობაში. ექსპლუატაციის პირობების ცვლილება არ მოიცავს გამომშვებული პროდუქციის სახეობის ცვლილებასა და რაოდენობის გაზრდას, ძირითადი ტექნოლოგიური დანადგარების ცვლილებას, არ იგეგმება ახალი შენობა-ნაგებობების მოწყობა და ტერიტორიის ფართობის გაზრდა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შემდეგ ნედლეულის არსებულ ორ რეზერვუარს დაემატება ახალი ორი 20 ტონიანი რეზერვუარი (შემკვრელი ნედლეულის ავზები), რითაც გაორმაგდება ნედლეულის მარაგი. ეს საშუალებას იძლევა ნედლეულის შემოზიდვა განხორციელდეს დიდი ტევადობის ავტოციტერნით, რაც ხელს შეუწყობს სატრანსპორტო ნაკადების შემცირებას. დამატებული რეზერვუარების მომსახურებისთვის დამონტაჟდება გადამქაჩი ტუმბო. ოთხიდან ერთ-ერთი შემრევი დისოლვერი დასაფასოებელ ხაზთან ერთად შეიცვლის მდებარეობას, მას ჩანაცვლებს ახალი შემრევი დისოლვერი გადამქაჩი ტუმბოთი და საღებავის ფილტრით. დისოლვერი დაემატება სარეზერვოდ, რათა უზრუნველყოფილ იქნეს არსებული ოთხი დისოლვერიდან რომელიმეს გაჩერების შემთხვევაში, წარმადობის შენარჩუნება და პროცესის უწყვეტობა. ტექნოლოგიური პროცესის უწყვეტობის შენარჩუნებისთვის გათვალისწინებულია დამატებით სარეზერვო დასაფასოებელი ხაზის და გორგოლებიანი კონვეირის მონტაჟი. პროდუქციის დაფასოების პროცესის ოპტიმიზაციის მიზნით დამონტაჟდება კომპრესორი, რომელიც მოემსახურება დასაფასოებელ ხაზს. განსაკუთრებული შემთხვევებისთვის მომხმარებლების მოთხოვნათა გათვალისწინებით დამონტაჟდება ფერის შემრევი დისოლვერი. საამქროს და საწყობის გათბობის მიზნით დამონტაჟდება ორი ECOFLAM CE0694 გამათბობელი, რომლებიც იმუშავებს ბუნებრივ აირზე. თითოეულ დანადგარზე ბუნებრივი აირის ხარჯი სავარაუდოდ იქნება 1500 მ³ თვეში. გამათბობელი სისტემა იმუშავებს წელიწადში 6 თვე.

წარმოდგენილი პროექტით გათვალისწინებულია რეზერვუარებისა და იატაკის მორეცხვის შედეგად გამოყენებული წყლის გამწმენდი სისტემის სრულყოფა-რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს ფილტრ-წნეხის დამონტაჟებას. ამ უკანასკნელში შესული მასა დაიწნეხება, რის შედეგადაც წყალი გაივლის ორ ფილტრს და გადავა საფილტრ კასკადში. ეს უკანასკნელი შედგება სამი ავზისაგან, რომლებშიც კასკადურად გაივლის წყალი და ბოლო საფეხურიდან დაბრუნდება ტექნოლოგიურ პროცესში, წნეხში

და საფილტრ კასკადში დაჭერილი ლექი გაშრობის შემდეგ გამოიყენება, როგორც სამშენებლო მასალა.

საამქროში არსებულ ჰაერგამწმენდ სისტემაში, რომელიც შედგება ციკლონისაგან და დამლექი კამერისაგან, განხორციელებულია ცვლილება, კერძოდ ციკლონის შემდეგ არსებული მშრალი სალექარი კამერა შეიცვლება სველი სალექარი კამერით. ეს უზრუნველყოფს ციკლონიდან გამოსული წვრილდისპერსული მტვრის მაქსიმალურ დაჭერას. აღნიშნულის შედეგად სისტემის ეფექტურობა გაიზრდება არსებული 78%-იდან 85%-მდე. ამავე საამქროში გათვალისწინებული დისოლვერის მომსახურებისათვის დამონტაჟდება აღნიშნული გამწმენდი სისტემის ანალოგიური სისტემა, რაც კიდევ უფრო შეამცირებს ატმოსფეროში მტვრის გაფრქვევას.

მშრალი ნარევების საამქროში პირობების ცვლილება ეხება დამატებით ორი კომპრესორის დამონტაჟებას და სავენტილაციო-ასპირაციული სისტემების მოწყობას. კომპრესორების მონტაჟის მიზანია დაფასოების პროცესის ოპტიმიზაცია. ტექნოლოგიურ პროცესში წარმოქმნილი მტვრის დაჭერა ხდება მაღალეფექტური ქსოვილოვანი ფილტრებით, რომლიდანაც ჰაერი გაიტყორცნება სათავსოში. სათავსო აღჭურვილია საერთოცვლითი გამწოვი სისტემით. გაწოვილი ჰაერის გატყორცნა ხდება ატმოსფეროში ვენტილატორის მეშვეობით. იმისათვის, რომ შემცირდეს სათავსოში მტვრის კონცენტრაცია, გათვალისწინებულია გამწოვების მოწყობა: მანუალური ასაწონი ადგილიდან და ნედლეულის მანუალური ბუნკერიდან გაწოვა და გაწმენდა დამლექ კამერაში; დანამატების მანუალური ბუნკერიდან გაწოვა; ტექნოლოგიური საფილტრი დანადგარის გამომავალი მილიდან გაწოვა.

სკრინინგის განცხადების თანახმად დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების და შენობის სარემონტო სამუშაოების დროს მოწყობილობების მონტაჟი და რემონტი მოხდება დახურულ შენობაში. ტექნოლოგიური პროცესების მიმდინარეობისას ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება შესაძლებელია ბუნებრივი აირის წვის პროდუქტების გამოყოფით, როგორცაა აზოტის ოქსიდები, ნახშირბადის ოქსიდები და ნახშირორჟანგი. მაგრამ როგორც შესაბამისი გამოთვლები გვიჩვენებს მათი კონცენტრაციები იმდენად დაბალია, რომ 500 მ-იან ზონის საზღვარზე არ მოხდება ზღვ-ს ნორმების გადაჭარბება. საწარმოს მუშაობის მთელი პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, მხოლოდ დღის საათებში, შესაბამისად, ხმაურის გავრცელება იქნება უმნიშვნელო და ადგილი არ ექნება რაიმე ზემოქმედებას დასახლებულ პუნქტებზე.

